მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრთა სხდომის ოქმი

ქ.თბილისი

26.06.2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრები: თამარ შანიძე (პირადი ნომერი: 01026004310), ედუარდ მირზოიანი (პირადი ნომერი: 01013013978), გიორგი შაგაშვილი (პირადი ნომერი: 01024067690), როგორც წარმომადგენელი თენგიზ შაღაშვილის, თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული 12.11.2013 წელს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის მიერ, რეესტრის № 131191126, აკაკი მოსაშვილი (პირადი ნომერი: 01001003808), გურამ ონიანი (პირადი ნომერი: 01025014420). ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულების 28-ე მუხლის შესაბამისად, სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია. სხდომა დაფუძნების ხელშეკრულების 26-ე მუხლის შესაბამისად მოწვეულია ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილის, გურამ ონიანის ინიციატივით. სხდომას არ ესწრებოდა მზია ჯაბაური. სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თამარ შანიძე, მდივნად – გურამ ონიანი.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის თავმჯდომარის გადაყენება და ახალი თავმჯდომარის არჩევა;
2. ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს თამარ შანიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ამხანაგობის ამჟამინდელი თავმჯდომარე, აკაკი მოსაშვილი ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე ვერ დაასრულა მშენებლობის პროცესი. ამჟამად მშენებლობის პროცესი თითქმის შეჩერებულია. იმისათვის, რომ მშენებლობა განახლდეს, თავმჯდომარე არაფერს აკეთებს. ინვესტორმა - გურამ ონიანმა დაფუძნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მასზე ნაკისრი ვალდებულება შეასრულა სრულად განახორციელა 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიცია და ამ ეტაპამდე მოიყვანა მშენებლობა, რასაც ვხედავთ დღეს – აშენებულია ოთხი სართული. ჩვენ, ამხანაგობის

ამფუძნებელ წევრებს, ყველას შესრულებული გვაქვს ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულება ამხანაგობის წინაშე; განვახორციელეთ შენატანები, გადავეცით უძრავი ქონება ამხანაგობას, რაც გვევალებოდა. რაც შეეხება აკაკი მოსაშვილს, დაფუძნების ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად იგი ვალდებულია ამხანაგობაში შეიტანოს იმ ოდენობის ფულადი სახსრები, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებას დამტკიცებული პროექტის მიხედვით. მაგრამ ამისთვის იგი არაფერს აკეთებს, არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რის გამოც გაჩერებულია მშენებლობა. გამომდინარე აქედან, შემოვდივარ წინადადებით, ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებულ იქნას აკაკი მოსაშვილი და მის ნაცვლად თავმჯდომარედ ავირჩიოთ გურამ ონიანი. აქვე მინდა გავაკეთო პატარა განმარტება: რომ არა გურამ ონიანი, ჩვენი კორპუსის ის ნაწილიც არ იქნებოდა აშენებული, რასაც დღეს ვხედავთ. მიმაჩნია, რომ იგი ამ საქმეს თავს გაართმევს და ბოლომდე მიიყვანს.
თამარ შანიძის წინადადებას გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- აკაკი მოსაშვილი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან;
- ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გურამ ონიანი (პირადი ნომერი: 01025014420).
- ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მიიღოს ცნობად.
- მიუხედავად თანამდებობიდან გათავისუფლებისა, აკაკი მოსაშვილი ვალდებულია შეასრულოს ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს გურამ ონიანის ინფორმაცია. მან განაცხადა, რომ: ვინაიდან მოხდა ჩემი ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩევა, შესაბამისად, უნდა ავირჩიოთ ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილე. წინადადება შემომაქვს ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას თამარ შანიძე. აქვე მინდა მადლობა მოვახსენოთ იმ ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ. დღემდეც ასე იყო და ამის შემდეგაც ასე იქნება: არ დავზოგავ ძალებს, რომ ამ კორპუსის მშენებლობა დასრულდეს. ამაში თქვენი თანადგომაც დამჭირდება. უნდა ვიმოქმედოთ ერთობლივად, კოორდინირებულად, ურთიერთშეთანხმებით და საერთო

ებით დავასრულოთ კორპუსის მშენებლობა. პირადად ჩემზე რაც იქნება ამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კრებამ მიიღო გადაწყვეტილება:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნას თამარ შანიძე (პირადი № 01026004310).

გადაწყვეტილებები მიღებულია ერთხმად.

თამარ შანიძე: [illegible]

ედუარდ მირზოიანი: [illegible]

თენგიზ შალაშვილი – წარმომადგენელი გიორგი შაგაშვილი: [illegible]

აკაკი მოსაშვილი: [illegible]

გურამ ონიანი: [illegible]

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140661893
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.06.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97857727222214

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაექვსი ივნისი.
მე, საქართველოს ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის №18, ვამოწმებ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ამხანაგობა "ქარელის ქ.25"-ს გამგეობის წევრთა სხდომის ოქმზე, რომელიც წარმოდგენილია ოთხ ცალად, **გურამ ონიანის,** დაბადებული 04.06.1957 წელს, მცხოვრები თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის დასახლება № 2ა, ბინა 5, პირადი № 0102501420, **აკაკი მოსაშვილის,** დაბადებული 08.06.1950 წელს, მცხოვრები თბილისში, გლდანის მასივი, II მ/რ, კორპუსი 40, ბინა 21, პირადი № 01001003808, **თამარ შანიძის,** დაბადებული 05.07.1969 წელს, მცხოვრები თბილისში, ქარელის ქუჩა № 25, პირადი № 01026004310, **ედუარდ მირზოიანის,** დაბადებული 14.02.1972 წელს, მცხოვრები თბილისში, ვარკეთილი-3, IIIა მიკრორაიონი, კორპუსი 338, ბინა 131, პირადი № 01013013978 და **გიორგი შაგაშვილის,** დაბადებული 13.04.1990 წელს, მცხოვრები თბილისში, ქარელის 25, პირადი № 01024067690, ხელმოწერების ნამდვილობას. ხელმოწერები შესრულებულია პირადად მათ მიერ ჩემი თანდასწრებით ოქმის ყველა გვერდზე. მათი ვინაობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერები შესრულებულია ზემოთაღნიშნული მოქალაქეების მიერ.
გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 120.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 21.60 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 143.60 ლარი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი